

КОМИССИЯ ПРОПАГАНДЫ
ФЕДЕРАЦИИ ФУТБОЛА ГРУЗИИ

ТБИЛИССКИЙ СТАДИОН «ДИНАМО»
ИМЕНИ В. И. ЛЕНИНА

СОСТАВИТЕЛЬ: О. ГВЕЛЕСИАНИ

ТЕХРЕДАКТОР М. ЛОБЖАНИДЗЕ    ХУДОЖНИК К. САДЗАГЛИШВИЛИ
ВЫПУСКАЮЩИЙ А. САМХАРАДЗЕ
Цена 27 коп.
Заказ № 2185. Тираж 15.000. УЭ 08157

Типография изд-ства ЦК КП Грузии, Тбилиси, Ленина, 14

15. IX
1982

UEFA

თბილისის
ვ. ი. ლენინის სახელობის
„დინამოს" სტადიონი

დასაწყისი 19 საათზე

„დინამო" „ნაპოლი"



«ДИНАМО»
(ТБИЛИСИ, СССР)

«DINAMO»
(TBILISSI, URSS)

«НАПОЛИ»
(НЕАПОЛЬ, ИТАЛИЯ)

«NAPOLI»
(NAPOLI, ITALIA)

КЛИСФ: "НАШИ В ЕВРОКУБКАХ"

# სალამი იტალიელ ფეხბურთელებს!




Добро пожаловать, футболисты и болельщики «Наполи» в Тбилиси!

თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონზე კიდევ ერთი ლამაზი საფეხბურთო ზეიმია. თბილისის დინამოელები თავიანთ პირველ მატჩს გამართავენ უეფას თასის გათამაშების ახალ ეტაპზე.

დღეს ჩვენს სატდიონზე თბილისის „დინამოს" გუნდის გულშემატკივრები. გულითადად ესალმებიან იტალიელ ფეხბურთელებს, რომლებიც ჩვენთან უეფას გათამაშების პირველი მატჩის ჩასატარებლად ჩამოვიდნენ.

დარწმუნებული ვართ, რომ თბილისის „დინამოს" 75-ათასადგილიან სტადიონზე დღეს არც ერთი თავისუფალი ადგილი არ იქნება და ფეხბურთის მოყვარულები ჭეშმარიტად დაძაბულ და მომხიბლავ სანახაობას იხილავენ.

დაე, ყველა თქვენთაგანისათვის დაუვიწყარი იყოს ამ მატჩის შთაბეჭდილებანი რა შედეგებითაც არ უნდა დამთავრდეს იგი. დაე, ჩვენს სტუმრებს იტალიელ გულშემატკივრებს საუკეთესო მოგონებანი გაჰყვეთ თბილის—ქალაქიდან.



# НАШИ ГОСТИ «НАПОЛИ»




Десять лет назад (13 сентября 1972 года) в истории тбилисского «Динамо» была открыта новая страница: команда провела первый официальный международный матч в европейском клубном турнире. С тех пор грузинские футболисты встречались со многими именитыми командами стран Европы, причем с итальянскими клубами жребий сводил динамовцев дважды. В 1/16 финала Кубка Кубков 1976-77 годов «Динамо» победило миланский «Интернационале» (в Милане — 1:0, в Тбилиси — 0:0). Спустя год на первом этапе розыгрыша Кубка УЕФА наша команда играла с «Наполи». Первый «раунд» в Тбилиси завершился победой динамовцев — 2:0. Отличились Давид Кипиани и Рамаз Шенгелия. Ответная встреча проходила в Неаполе на стадионе «Сан Паоло» в присутствии 75 тысяч зрителей и закончилась вничью — 1:1. На 66-й минуте счет открыл Виталий Дараселия. Хозяевам удалось сквитать его с пенальти за десять минут до финального свистка.




В Италии без преувеличения говорят, что для «Наполи» болельщик — это своего рода лишний игрок, особенно когда команда играет у себя дома, на стотысячном стадионе «Сан Паоло». Футболисты никогда не забывают о тех, кто следит за ними с трибун. Техничной и темпераментной игрой неаполитанцы часто доставляют удовольствие своим поклонникам.




Однако за все шестидесятилетнее существование этой самобытной и интересной команде ни разу не удавалось стать первой в стране. Хотя ей всегда предсказывали успех в чемпионате. В активе «Наполи» лишь две победы в Кубке Италии — в 1962 и 1977 годах.




Команда имеет богатый опыт участия в европейских клубных турнирах. Нынешнее ее участие в Кубке УЕФА будет десятым по счету. Дважды «Наполи» выступал в Кубке Кубков. На европейской арене пока самым значительным успехом неаполитанцев был выход в полуфинал розыгрыша этого турнира в 1976-77 годов. Здесь они уступили бельгийскому «Андерлехту» — 1:0, 0:0.







Затем в команде наступил некоторый спад. «Наполи» едва не покинул высшую лигу. Дело в том, что руководство клуба было замешано в коррупции. Но все обошлось для команды благополучно.

В последнем чемпионате «Наполи» занял четвертое место, что гарантировало ему «европейскую прописку». Однако игру неаполитанцев эксперты не относят к разряду успешных. Команда пропустила вперед «Ювентус», «Фиорентину» и «Рому», отстав от чемпиона на 11 очков. Она одержала десять побед, потерпела пять поражений и пятнадцать встреч свела вничью. Разница мячей — 31:21.




Руководство клуба, недовольное итогами сезона, сразу же после завершения чемпионата приступило к обновлению состава. Из команды были отмечены несколько футболистов. Вместо них «Наполи» за большие деньги заполучил полузащитника Челестини из «Катандзаро», нападающего «Перуджи» Даль Фиуме. Но самым драгоценным приобретением стал аргентинец Рамон Диас, перекупленный у знаменитого клуба «Ривер Плейт» сразу после завершения испанского







КЛФ "НАШИ В ЕВРОКУБКАХ"

чемпионата мира. Команду возглавил известный специалист Массимо Джакоммини.

Подготовительный период «Наполи» провел довольно активно. Команда совершила турне по Испании, а затем включилась в розыгрыш Кубка Италии. Сейчас она лидирует в третьей подгруппе этого почетного турнира.

Обозреватели отмечают, что в техническом плане команда выглядит солидно. Однако игроки пока не набрали необходимых физических кондиций, в их действиях не хватает сыгранности. Тем не менее тренер М. Джакоммини не впадает в панику, считая что это дело наживное и уже в ближайшее время «Наполи» заиграет легко.

На кого же надеется наставник наших соперников?

Интересно отметить, что в команде по-прежнему играют пять футболистов, хорошо знакомых тбилисцам. Это 33-летний голкипер Кастеллини, защитники — 31-летний Брусколетти и 24-летний Феррарио, 28-летний полузащитник Винацциани и 27-летний Пелегрини.

Центральной фигурой в команде является 33-летний защитник голландец Руди Крол, выступающий в итальянском клубе второй год.

В нападении конечно, основная ставка будет делаться на новобранца Рамона Диаса. Мастерство этого 21-летнего форварда общепризнанно. Аргентинец грозен не только при завершении атак, его отличают высокие организаторские способности. Кстати, и в «Динамо» сейчас продолжают выступать пять игроков, участвовавших в матчах 1978 года. Это Чивадзе, Гуцаев, Шенгелия, Дараселия и Сулаквелидзе.

# ნეაპოლი




ვინ იცის რამდენჯერ გვინახავს იტალიის „სამხრეთ დედაქალაქად“ წოდებული ნეაპოლი საფოსტო ბარათებსა თუ მარკებზე, ერთ ალბომებსა თუ კინოეკრანზე. ნეაპოლის სილამაზით აღტაცებული იყო მ. გორკი, რომელიც მის მახლობლად კუნძულ კაპრიზე ცხოვრობდა ემიგრაციაში ყოფნისას. განუმეორებელი არ-მარეთი მოიხიბლა მასთან 1906 წელს რამდენიმე დღით ჩასული ვ. ი. ლენინი.

იტალიის მესამე ქალაქი ნეაპოლი მოსახლეობის რაოდენობის მხრივ (1,2 მილიონი მაცხოვრებელი 1972 წლის მონაცემების მიხედვით) ნეაპოლიტანური ყურეს სანაპიროზე ქვეყნის „საშინელებასა და სიამაყის“ — მარადმბოლავი ვულკანის, სახელგანთქმული ვეზუვის ძირას მდებარეობს. ქალაქი ახლომდებარე სხვა მცირე ქალაქებთან ერთად შეადგენს ე. ი. „დიდ ნეაპოლს“ (2 მილიონზე მეტი მაცხოვრებელი).

ერთ-ერთ უპირველეს ფიგურად იქცა.

ნეაპოლი დღეს იტალიის უმთავრესი საზღვაო პორტი, თვალსაჩინო სატრანსპორტო კვანძი, საერთაშორისო ტურიზმის ერთ-ერთი ცნობილი კერაა. მთელს მსოფლიოშია ცნობილი ნეაპოლიტანური მუსიკალური სკოლა — საკომპოზიტორო და საშემსრულებლო, რომელსაც საფუძველი აქ ჯერ კიდევ 17 საუკუნის მიწურულს ჩაეყარ. ნეაპოლელები სამართლიანად ამაყობენ თვიანთი საოპერო თეატრით „სან-კარლოთი“, რომელიც 1787 წელს დაარსდა.

| „დინამო“ | | „ნაპოლი“ |
|---|---|---|
| გაბელია | 1 | კასტელინი |
| მჭედლიძე | 2 | ბრუსკოლოტი |
| ჩივაძე | 3 | კროლი |
| ანდღულაძე | 4 | პელეგრინი |
| სულაქველიძე | 5 | დამიანი |
| ხინჩაგაშვილი | 6 | პალანკა |
| ხიზანიშვილი | 7 | მუსელა |
| დარასელია | 8 | ციტარიო |
| სვანაძე | 9 | ფერარიო |
| არზიანი | 10 | დიასი |
| გუცაევი | 11 | ბენედეტი |
| შენგელია | 12 | კრისციმანი |
| მესხი | 13 | ფიორე |
| კაკილაშვილი | 14 | მარინო |
| ცაავა | 15 | მანიერო |
| პაიკიძე | 16 | ვინაცანი |

კაპიტანი ჩივაძე — კაპიტანი ბრუსკოლოტი

მწვრთნელი ახალკაცი — მწვრთნელი ჯაკომინი

# იტალია–მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი...

## იტალიის ნაკრები...

...1934 წლის ჩმპიონი (იტალია).

ფინალში ანგარიშით 2:1 (1:1, 0:0) დაამარცხა საფრანგეთის ნაკრები.

გუნდის შემადგენლობა: კომბი, მონცეგლიო, ალემანდი, ფერარისი, მონტი, ბერტოლინი, გუაიტა, მეაცა, სკიავიო, ფერარი, ორსი.

...1938 წლის მსოფლიო ჩემპიონი (საფრანგეთი)

ფინალში ანგარიშით 4:2 (3:1) დაამარცხა უნგრეთის ნაკრები.

გუნდის შემადგენლობა: ოლივიერი, ფონი, რავა, სერანტონი, ანდრეოლო, ლოკატელი, ბიავიტი, მეაცა, პიოლა, ფერარი, კოლაუსი.

1982 წლის მსოფლიო ჩემპიონი (ესპანეთი) ფინალში დაამარცხა გფრ ნაკრები — ანგარიშით 3:1. გუნდის შემადგენლობა: ძოფი, ბერგომი, კაბრინი, კოლოვატი, ჯენტილე, შირეა, ორიალი, ტარდელი, კონტი, გრაციანი, (ალტობელი, კაუსიო, როსი.



მსოფლიოს X ჩემპიონატზე, იტალიელთა ფიასკოს მოჰყვა მათი ცნობილი მწვრთნელის ფერუჩიო ვალკარეჯის განთავისუფლება, რომელიც ფულვიო ბერნანდინიმ შეცვალა. მალე ახალი მწვრთნელიც გადადგა და საქმეები თანაშემწეს ენზო ბერაზოტს გადაბარა.

ახალმა მწვრთნელმა თავიდანვე უარი თქვა გაუთავებელ ექსპერიმენტებზე, ენერგიულად უარყო მახირებული თავდაცვის სისტემა — დრომოჭმული „კატენაჩიო" და მთელი აქცენტი შეტევაზე გადაიტანა.

არგენტის XI მსოფლიო ჩემპიონატზე „სკუადრა აძურამ", მაღალტექნიკური, საინტერესო თამაშით თავიდანვე აალაპარაკა ფეხბურთის სპეციალისტები. ბევრნი მას ჩემპიონობასაც უწინასწარმეტყველებდა. მაგრამ იტალიელებმა ერთობ უფერულად ჩაატარეს გათამაშების მეორე ნახევარი და და სანაწადელს ვერ მიაღწიეს — მხოლოდ მეოთხე ადგილზე გამოვიდნენ. ერთი კი ცხადი იყო: „სკუადრა აძურა" კვლავ ჩადგა უძლიერესთა რიგებში.

— პირადად მე კმაყოფილი ვარ არა ადგილით, რომელზეც იტალიის ნაკრები გამოვიდა — განაცხადა ე. ბეარზოტმა — არამედ ჩვენი თამაშით. როგორც ჩანს, სწორი გზით მივდივართ და ამას ბოლოს და ბოლოს შეუძლია კარგი შედეგიც მოგვიტანოს. ბოლო მსოფლიოს ჩემპიონტზე. შევეცდებით, მოვიგოთ ჩემპიონობა!

...და აი :0 წლის შემდეგ იტალიამ მესამედ მოიპოვოს მსოფლიო ჩემპიონის ტიტული ბეარზოტმა კი მსოფლიოში ერთერთი საუკეთესო მწვრთნელისა და სტრატეგის სახელი.



ესპანეთის XII მსოფლიო ჩემპიონატზე იტალიელმა ფეხბურთელმა პაოლო როსიმ მოიგო ყველაფერი, რისი მოგებაც კი შეიძლებოდა: იგი მსოფლიო ჩემპიონია, 6 გატანილი გოლით ფინალური ტურნირის საუკეთესო გოლეადორი გახდა, ჩემპიონატზე აკრედიტებულმა ჟურნალისტებმა ერთმად აღიარეს საუკეთესო ფეხბურთელად.

დაახლოებით 7 წლის წინ როსიმ მენისკის ოპერაცია გადაიტანა, ერთხანს ვერ იყო ფორმაში, რის გამოც კლუბის ხელმძღვანელობამ იგი დროებით დაუთმო „კომოს", მერე — „ვიჩენცას", შემდეგ კი „პერუჯას". ძალზე შედეგიანად თამაშობდა და მის უკან დასაბრუნებლად „იუვენტუსის" ხელმძღვანელობას დამატებითი თანხის გადახდაც კი მოუხდა.

იტალიის ნაკრების მწვრთნელმა ე. ბეარზოტმა მაშინ ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა: „როსი თანამედროვე სტილის ფეხბურთელია, მინდვრის სიღრმიდან იწყებს სტრატეგიული გეგმის განხორციელებას, გოლებიც ხშირად გააქვს, ამიტომ ჩვენი ნაკრები უმისოდ წარმოუდგენელია".

განვლილი ჩემპიონატის მატჩებში პ. როსიმ პოლონეთის, კამერუნისა და პერუს გუნდებთან უშედეგო თამაშის შემდეგ პ. როსიმ ბრაზილიელებთან 4 ხელსაყრელი მომენტიდან 3 გოლით დაამთავრა, პოლონელებთან 3 3 შესაძლებლობიდან 2 გამოიყენა და ფინალშიც გამოიჩინა თავი.

იტალიის ნაკრების მეკარეს დინო ძოფს კარგად იცნობენ საერთაშორისო წრეებში. მას შემდეგ კი, რაც იტალიელებმა მსოფლიო ჩემპიონის წოდება მოიპოვეს, დ. ძოფის სახელი არ სცილდება იტალიური გაზეთების ფურცლებს.

იტალიის „პაეზე სერას" კორესპონდენტმა ამას წინათ ინტერვიუ აიღო განთქმული მეკარისაგან:

**— რას ნიშნავს პირადად თქვენთვის იტალიის ეროვნული ნაკრების გამარჯვება?**

— ჩემპიონატის გადამწყვეტმა მატჩებმა დამარწმუნა, რომ ჯერ არა ვარ ვეტერანი და თავს ზედმეტ ტვირთად არ ვგრძნობ ჩემი გუნდისთვის. ვფიქრობ მომავალ მსოფლიო ჩემპიონატზე და სულაც არა მგონია, რომ სისულელეს ვაკეთებ. კიდევ 4 წელიწადს გადალებს 40 წლის კაცი.

**— იტალიის პრესას არ სჯეროდა თავისი ნაკრებისა, საკმაოდ დაურიდებლად ლანძღავდა მას. თქვენ რომ ჩემპიონები გახდით, ეს ხომ არ ნიშნავს იტალიელი სპორტული ჟურნალისტების დამარცხებას?**

— იტალიელი ფეხბურთელები თავგამოდებით თამაშობდნენ საკუთარი თავისთვისაც და ხალხისთვისაც, უკან არ დაგვიხევია. ჩემი აზრით, ჟურნალისტებიც იმიტომ გვაკრიტიკებდნენ, რომ მსოფლიო ჩემპიონატის დაწყების წინ კარგად არ გვქონდა საქმე.



| «ДИНАМО» | | «НАПОЛИ» |
|---|---|---|
| ГАБЕЛИЯ | 1 | КАСТЕЛЛИНИ |
| МЧЕДЛИДЗЕ | 2 | БРУСКОЛОТТИ |
| ЧИВАДЗЕ | 3 | КРОЛ |
| АНДГУЛАДЗЕ | 4 | ПЕЛЕГРИНИ |
| СУЛАКВЕЛИДЗЕ | 5 | ДАМИАНИ |
| ХИНЧАГАШВИЛИ | 6 | ПАЛАНКА |
| ХИЗАНИШВИЛИ | 7 | МУСЕЛА |
| ДАРАСЕЛИЯ | 8 | ЦИТАРИО |
| СВАНАДЗЕ | 9 | ФЕРРАРИО |
| АРЗИАНИ | 10 | ДИАС |
| ГУЦАЕВ | 11 | БЕНЕДЕТИ |
| ШЕНГЕЛИЯ | 12 | КРИСЦИМАНИ |
| МЕСХИ | 13 | ФИОРЕ |
| КАКИЛАШВИЛИ | 14 | МАРИНО |
| ЦАВА | 15 | МАНИЕРО |
| ПАИКИДЗЕ | 16 | ВИНАЦАНИ |

Капитан ЧИВАДЗЕ — Капитан БРУСКОЛОТТИ

Тренер АХАЛКАЦИ — Тренер ДЖАКОМИНИ

# КУБОК УЭФА



## 1/32 ФИНАЛ

### Первый круг

**«Шлёнск» (Польша) — «Динамо» (Москва).**
**«Спартак» (Москва) — «Арсенал» (Англия).**
**«Динамо» (Тбилиси) — «Наполи» (Италия).**
«Манчестер Юнайтед» (Англия) — «Валенсия» (Испания).
«Гленторан» (Сев. Ирландия) — «Баник» (Чехословакия).
«Утрехт» (Голландия) — «Порто» (Португалия).
«Прогресс» (Люксембург) — «Серветт» (Швейцария).
«Хаарлем» (Голландия) — «Гент» (Бельгия).
«Сент-Этьенн» (Франция) — «Татабанья» (Венгрия).
«Богемианс» (Чехословакия) — «Виенна» (Австрия).
АЕК (Греция) — «Кёльн» (ФРГ).
«Рома» (Италия) — «Ипсвич» (Англия).
«Атлетико» (Бильбао, Испания) — «Ференцварош» (Венгрия).
«Хайдук» (Югославия) — «Зурриег» (Мальта).
«Куопио Палло — Товерит» (Финляндия) — «Андерлехт» (Бельгия).
«Линдбюэ» (Норвегия) — «Браге» (Швеция).
«Форверст» (Франкфурт-на-Одере, ГДР) — «Вердер» (ФРГ).
«Университатя» (Румыния) — «Фиорентина» (Италия).
«Севилья» (Испания) — «Левски-Спартак» (Болгария).
«Пезопорикос» (Кипр) — «Цюрих» (Швейцария).
«Кайзерслаутерн» (ФРГ) — «Трабзонспор» (Турция).
«Сараево» (Югославия) — «Славия» (Болгария).
«Грацер» (Австрия) — «Корвинул» (Румыния).
«Данди Юнайтед» (Шотландия) — «Эйндховен» (Голландия).
«Викинг» (Норвегия) — «Локомотив» (ГДР).
«Карл Цейсс» (ГДР) — «Бордо» (Франция).
«Шемрок Роверс» (Ирландия) — «Фрам» (Исландия).
«Саутгемптон» (Англия) — «Норчёпинг» (Швеция).
«Боруссия» (Дортмунд, ФРГ) — «Глазго Рейнджерс» (Шотландия).
ПАОК (Греция) — «Сошо» (Франция).
«Сталь» (Польша) — «Локерен» (Бельгия).
«Бенфика» (Португалия) — «Реал-Бетис» (Испания).

СУДЕЙСКАЯ БРИГАДА: Калентине, Каткарт, Макгилрай (все из Шотландии).
ПРЕДСТАВИТЕЛЬ УЕФА — Торойла (из Финляндии).

# ვინ გახდება ლაურეატი

უეფა-ს თასზე, ისევე როგორც ჩემპიონთა და თასების მფლობელთა თასებზე, ორგანიზატორები თავიდანვე მიმართავენ განთესვის პრინციპს, მაგრამ აქ იმდენი ძლიერი კლუბია, რომ მათ მაინც უწევთ ხოლმე ერთმანეთთან თამაში პირველ ეტაპზე.

მსოფლიო ჩემპიონატში იტალიელ ფეხბურთელთა გამარჯვების ინტერესს იწვევს ამ ქვეყნის კლუბების გამოსვლა.

ძლიერად თამაშობს ეროვნული ჩემპიონატის მეორე პრიზიორი „ფიორენტინა". აქ გამოდიან მსოფლიო ჩემპიონები ანტონიონი და გრაციანი. თუ შეიძლება ლაპარაკი „დირიჟორის ჯოხზე", მას სხვებზე უკეთესად სწორედ ანტონიონი ფლობს. დავუმატოთ ამათ არგენტინელი ფეხბურთელები პასარელა და ბერტონი და ცხადი გახდება, რომ „ფიორენტინას" ამ გათამაშებაში დიდი ამბიციები იქნება რუმინეთის „უნივერსიტატეასთან".

გფრ-ის გუნდების კვარტეტში ახლა უძლიერესია „კიოლნი". აქ გამოდის 3 ვიცე-ჩემპიონი — მეკარე შუმახერი, თავდამსხმელი ფიშერი და ახალგაზრდა, პერსპექტიული ლიტბარსკი. სხვა მოთამაშეთაგან უნდა აღინიშნოს 22 წლის ნახევარმცველი ენგელსი, რომელიც ასევე ნაკრების წევრად ითვლება. „კიოლნის" სიძნელეები ვერ უნდა შეუქმნას ათენის აეკ-მა. „კაიზერს-ლაუტერნმა", რომლის მოთამაშეთა შორის გამოჰყოფენ შვედ მეკარე ჰელსტრომსა და მცველ ბრიგელს, ეტყობა, უნდა სძლიოს თურქეთის „ტრაბზონსპორს". ბუნდოვანი სურათია ბრემენის „ვერდერისა" დ ოდერის ფრანკფურტის „ფორვერტსის". დორტმუნდის „ბორუსიასა" და „გლაზგო რეინჯერსის" შეხვედრებში.

თბილისელთა ძველი ნაცნობი „კარლ ცაისი" (იენა, გდრ), ხვდება „ბორდოს" და ეტყობა, ძალიან გაუჭირდება. საქმე ის არის, რომ საფრანგეთის ამ კლუბში გამოდიან მცველი ტრეზორი, შუა ხაზის მოთამაშეები ჟირესი, ჟერარი, ტიგანა და თავმდამსხმელი სოლერი, რომლებმაც ბრწყინვალედ ითამაშეს მსოფლიო ჩემპიონატში. რაც შეეხება „კარლ ცაისს", იგი ახლა გაცილებით უარესად თამაშობს, ვიდრე 1981 წელს.

პირველ ტურში არ ერთი საინტერესო შეხვედრაა, მაგრამ აუცილებლად უნდა აღინიშნოს „მანჩესტერ იუნაიტედისა" და „ვალენსიას" წყვილი. მანჩესტერ იუნაიტედი" დღეისათვის დიდი ბრიტანეთის ერთ-ერთი საუკეთესო გუნდია. ინგლისის ნაკრებში ამ კლუბის 3 ნახევარმცველი (რობსონი, კოპელი და უილკინსი) გამოდიოდა. 17 წლის უაიტსაიდმა, რომელსაც აქამდე კლუბის გუნდში ერთი სრული მატჩიც კი არა აქვს ჩატარებული, ჩრ. ირლანდიის ნაკრების 5 შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა და პელეს ქებაც კი დაიმსახურა.





## «ДИНАМО» «НАПОЛИ»













### ТБИЛИССКИЙ СТАДИОН «ДИНАМО»

197[illegible] год. На первом этапе розыгрыша Кубка УЕФА наша команда играла с «Наполи». Первый «раунд» в Тбилиси завершился победой динамовцев — 2:0

# ევროპის საკლუბო ტურნირების კოეფიციენტი

ევროპის საფეხბურთო ასოციაციათა კავშირმა 1979 წელს დაადგინა კოეფიციენტი, რომელიც მიზნად ისახავს დაადგინოს კონტინენტის ქვეყნების ყოველწლიური კლასიფიკაცია ევროპულ საკლუბო ტურნირებში.

საკლასიფიკაციო გამოანგარიშებებს საფუძვლად უდევს არც თუ ისე რთული პრინციპი, რომლის მიხედვითაც გათამაშების ყოველ შემდგომ ეტაპზე გასულ კლუბებს (და მათთან ერთად ქვეყნებსაც) გარკვეული რაოდენობის ქულები ემატება.

ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასზე მერვედფინალში მონაწილეობისათვის გუნდს ერიცხება 4 ქულა, მეოთხედფინალში — 7, ნახევარფინალში — 10, ფინალში — 13, ხოლო თასის მოგებისთვის — 16. თასების მფლობელთა თასზე ეს ციფრები შესაბამისად ასეთია: 2, 5, 8, 11, 14. უეფა-ს თასზე მეთექვსმეტედფინალში გუნდებს ეწერებათ თითო ქულა, შემდგომ კი, შესაბამისად, 3, 6, 9, 12, 15.

ევროპის საკლუბო ტურნირებზე ნაჩვენები შედეგებით პირველ ადგილზეა ინგლისი, რომლის 7 გუნდმა დააგროვა 32 ქულა. ჩემპიონთა თასი მოიპოვა „ასტონ ვილამ" (16 ქულა), ხოლო „ლივერპულმა" მიიღო 7 ქულა. თასების მფლობელთა თასზე „ტოტენჰემ ჰოტსპურმა" მიიღო 8 ქულა, ხოლო უეფა-ს თასზე „საუთჰემპტონმა" 1 ქულა.

მეორე ადგილზეა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, რომლის 6 გუნდმა დააგროვა 31 ქულა, მესამეზეა ბელგია, რომლის 6 გუნდმა მიიღო 28 ქულა.

აღსანიშნავია შვეციის გუნდების წარმატება, რის მეოხებითაც ამ ქვეყანამ მარშანდელი ბოლო ადგილიდან მეექვსეზე გადაინაცვლა. აქ უნდა აღინიშნოს „გეტებორგის" დიდი ღვაწლი, რომელმაც უეფა-ს თასის გათამაშებაში დაამარცხა გფრ-ის „ჰამბურგი".

სსრ კავშირის გუნდების მარშანდელი გამოსვლის შედეგად ჩვენმა ქვეყანამ მეოთხე ადგილიდან მეშვიდეზე გადაინაცვლა. წლეულს 5 ჩვენი კლუბი გამოდის ჩემპიონთა თასის, თასების მფლობელთა თასისა და უეფა-ს თასის ტურნირებზე. თუ ამ გათამაშებებში წარმატებები მოვიპოვეთ, ცხადია, კვლავ შეგვიძლია დავიბრუნოთ ძველი პოზიციები. გასულ გათამაშებებში კიევის დინამოელებმა ჩემპიონთა თასზე დააგროვეს 7 ქულა, როსტოვის არმიელებმა თასების მფლობელთა თასზე — 2 ქულა, ხოლო თბილისის „დინამომ" ნახევარფინალში მონაწილეობისთვის დაიმსახურა 8 ქულა. უეფა-ს თასზე მოსკოვის სპარტაკელებმა აიღეს სულ 1 ქულა, ხოლო ლენინგრადის „ზენიტმა" და მოსკოვის ცსკა-მ ვერ მიიღეს ვერც ერთი ქულა, ვინაიდან დამარცხდნენ ოცდამეთორმეტედფინალში.

მსაჯთა ბრიგადა: კალენტინე, კატკარტი, მაკმილრაი. (ყველანი შოტლანდიიდან).

უეფა-ს წარმომადგენელია ტოროილა (ფინეთიდან)

# უეფა-ს თასის მფლობელები

1958 წ. — ქ. ბარსელონას ნაკრები (ესპანეთი)
2 1960 წ. — „ბარსელონა" ბარსელონა (ესპანეთი)
3 1961 წ. — „რომა" რომი (იტალია).
4 1962 წ. — „ვალენსია" (ესპანეთი)
5 1963 წ. — „ვალენსია" ვალენსია (ესპანეთი).
6 1964 წ. — „სარაგოსა" სარგოსა (ესპანეთი)
7 1965 წ. — „ფერენცვაროში" ბუდაპეშტი (უნგრეთი)
8 1966 წ. — „ბარსელონა" ბარსელონა (ესპანეთი)
9 1967 წ. — „დინამო" ზაგრები (იუგოსლავია)
10 1968 წ. — „ლიდს იუნაიტედი" ლიდსი (ინგლისი)
11 1969 წ. — „ნიუკასლ იუნაიტედი" (ნიუკასლი (ინგლისი)
12 1970 წ. — „არსენალი" ლონდონი (ინგლისი)
13 1971 წ. — „ლიდს იუნაიტედი" ლიდსი (ინგლისი)
14 1972 წ. — „ტოტენჰემ ჰოტსპური" ლონდონი (ინგლისი)
15 1973 წ. — „ლივერპული" ლივერპული (ინგლისი)
16 1974 წ. „ფეიენოორდი" როტერდამი (ჰოლანდია)
17 1975 წ. — „ბორუსია" მიონჰენგლადბახი (გფრ)
18 1976 წ. — „ლივერპული" ლივერპული (ინგლისი)
191977 წ. — „იუვენტუსი" ტურინი (იტალია)
20 1978 წ. — პსვ „ეინდჰოვენი" ეინდოჰოვენი (ჰოლანდია)
21 1979 წ. — „ბორუსია" მიონჰენგლადბახი (გფრ)
22 1980 წ. „აინტრახტი" (გფრ)
23 1981 წ. „გეტებორგი" „შვეცია"

КЛИСФ. "НАШИ В ЕВРОКУБКАХ"